თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 22

ქ.თერჯოლა

27 დეკემბერი 2022 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ...აკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. შალვა ჭანკვეტაძე, 9. გოჩა ვერულაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას არ ეწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. ტარიელ ფანჩულიძე

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282236016, 26.10.2022 წ.);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 97.0 ათასი ლარით და შეადგენს 30034.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 15.2 ათასი ლარით (გრანტი შემცირდა 15.2 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 112.2 ათასი ლარით (გრანტი გაიზარდა 112.2 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 17.2 ათასი ლარით. მათ შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 2.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 15.2 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 114.2 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია გაიზარდა 112.2 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში მარიტიძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 28.3 ათასი ლარით და თერჯოლა ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 83.9 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 2.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282236016, 26.10.2022 წ.).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2022 წლის 27 დეკემბრის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი